№ 79
პარასკევი, 14 აპრილი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 79
პარასკევი, 14 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.-გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22


# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“ განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თაყაიშვილის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი
### ექიმი გაბრ. იოს.
# ჯოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—32)

# ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საოლოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბიგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი — მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სა გინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

# პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოლოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის** გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი

აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება წევრთა დანიშნულია ამა წლის 29 აპრილს, საღამოს 7½ საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

## განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ლ იანვრიდგან 1899 წ. 1-ლ იანვრამდის 1900 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლისათვის საგდურის აშენების შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნანი და წვრილმანი საგნები. (3—6.—2)


## მთავრობის განკარგულებანი

ე ბ ო ძ ა თ: პოდპორუჩიკობა—პიატიგორსკის მე-151 რაზმის პოდპრაპორშჩიკს ს ვ ა ნ ი ძ ე ს; გუბერნსკი სეკრეტრობა: ბათუმის სამაზრო ხაზინის თარჯიმანს—კ ა ხ ა ბ ე რ ი ძ ე ს და ქუთაისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელეს კ ა ხ ი ა ნ ს; ნადვორნი სოვეტნიკობა—აქციზის მოხელეს გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—აქციზის მოხელეს ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე ს.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ იქმნა გუბერნსკი სეკრეტრის ხარისხში ქუთაისის სახაზინო პალატის მოხელე ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს იურის კონსულტის თანამდებობის აღმასრულებელი კავკასიაში ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე.

# ახალი ამბავი

⁂ 15 აპრილს, თომას კვირიაკის შაბათს, ტფილისის მიტროპოლიტის დომენტის, აწ უკვე აღდგენილის, დადგენილების თანახმად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ, მათ ყოვლად უსამღვდელოესთა ეპისკოპოსების ლეონიდისა და კირიონის თანამწირველობით სიონის საკრებულო ტაძარში შესრულებულ იქმნება წირვა და პანაშვიდი თ. გივი ამილახვარის სულის მოსახსენებლად, იმ თავ. გივი ამილახვარისა, რომლის მეცადინეობით (1727 წ.) სიონის ტაძარი არ იქმნა ჯამეთ გადაკეთებული, რის შესახებაც გამოსცა ფირმანი—ბრძანება ისაკ-ფაშამ. ამავე დღეს გარდახდილ იქმნება პანაშვიდი შიო-მღვიმის მონასტერში, სადაც არის დასაფლავებული გვამი თ. გივი ამილახვარისა.

⁂ სპარსეთის შაჰი თეირანიდგან გამოსულა 29 მარტს, 5 მაისს შახი რუსეთ-სპარსეთის საზღვარზედ მოვა, გაივლის ტფილისსა, ბაქოსა, პეტროვსკსა, ხარკოვსა და 16 მაისს მივა ვარშავში. შემდეგ წავა პეტერბურგში, სადაც დარჩება 4 ივლისიდგან 8-მდე. აქედამ მოგზაურობას განაგრძობს დასავლეთ ევროპისაკენ, ჰნახავს ბერლინს, პარიჟს, ლონდონს, შემდეგ მივა კონსტანტინეპოლში, საიდგანაც კვლავ ჩამოვა რუსეთში და აქედგან 20 სექტემბრამდე დაბრუნდება სპარსეთში.

⁂ ტომსკში განზრახულ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტისათვის მომავალ წლამდე შენობას ვერ დაათავებენ, ამიტომ სწავლა დაიწყება ტომსკის უნივერსიტეტში. ინსტიტუტში მიიღებენ რეალისტებს, გიმნაზიელებს და აგრეთვე სემინარიელებს, მხოლოდ სემინარიელებს მათემატიკის ცოდნის მხრივ გამოსცდიან.

⁂ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრება დანიშნულია 24 აპრილისათვის. კრებაზედ, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო საგნები იქმნება განხილული: 1) უბედურ შემთხვევათა გამო დაშავებულ მუშების უზრუნველყოფა. 2) რუსეთში შემოტანილ ნავთზედ სააქციზო გარდასახადის შემცირება.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს ნება დაურთავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ უსასყიდლოდ დაურიგოს ამიერ კავკასიის სოფლის მცხოვრებთ საქონლის საკვებავი ბალახის თესლები.

⁂ საზოგადოდ სოფლის ქალები მორცხვობენ ხოლმე და არ აცრევინებენ ყვავილს ყვავილის ამცრელს კაცს. ამიტომ განუზრახავთ სოფლის ქალებსაც შეასწავლონ ყვავილის აცრა და დაუნიშნონ მათ ჯამაგირი სოფლებში მუშაობისათვის, როგორც ყვავილის ამცრელს კაცებს ეძლევათ.

⁂ როგორც „ცნ. ფურც.“-ს გაუგია, პეტერბურგში არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს სოხუმსა და ახალსენაკს შუა რკინის გზა გაიყვანოს. გამოკვლევას ამ გაზაფხულზედვე შეუდგებიან, რისთვისაც ზემოხსენებული საზოგადოება სოხუმში კომისიასა ჰგზავნის თურმე.

# ფელეტონი

**ს ი მ ღ ე რ ა**

მითომ შენი ხმა მეჩქროვა,
დანახვა მომეწყურაო,
როცა სხვა იყო, შენ არა,
სიკვდილი მომესურაო;
მითომ ძირს მიწა გამიტყდა,
ზედ ლოდი დამეხურაო.
სურვილის ზვავი გამისქდა,
განა ღამეა, დღე არის,
ჩავქონვარ, აღარც საითა
თავის ხსნის იმედი არის,
ნეტავი გამაგებინა,
რას რა მიპირობს ტიალი.
დამნატრდა შენი ნახვაცა,
შენი ხმის გაგონებაცა,
ლხინად მიმაჩნავ სიკვდილი
მე შენთვის, დაღონებაცა.
ვაჰმე, დავწუხდი, ნაღობო,
გულმა დაიწყო ვარმობა:
ველარც მოვსულვარ და ველარც
გამიძლავ უნახაობა.
ათასში ერთხელ მაინცა
არ დაჰკიდ ბა თავასა?
არ იგონება ძმას: შენთვის
სხვას; გულის-ნათესავასა?
გზები მაქვს საგონებრისა
სურვილით მოქარგულია;
მალ-მალე მომაგონდები,
გამეფხლაკნება გულია...
გამავალ-გამომავალსა
თვალი გზის პირთა მრჩებაო.
დაიცა, ჩემი ლამაზი
ხომ არსად გამოჩნდებაო!..

ბაჩანა

## „დღეს უნდა გამჭრან“.

(ავადმყოფის ნაამბობი)

საავადმყოფოში წოლა სულის თქმას მიძნელებს. გული რაღაც სევდით შეპყრობია. აღარაფერი მას არ ახარებს, არ აცისკროვნებს... ნეტავი ცხოვრება მაინც მომჰარბებოდეს, დიდის ხნისა ვიყო! სულ ოცის, ანუ ოც-და-ერთის წლის ჭაბუკი თუ ვიქნები... ჰასაკით ჯერ სულ ნორჩი ვარ, მაგრამ გულით-კი ასის წლის მოხუცი გეგონებით და ეს სულ იმ... იმ დაუნდობელის სენის ბრალია!.. საშინელება-კი ყოფილა საავადმყოფოში!!? ყოველნი ჩემებრ სუსტნი, ხორციელად დავრდომილნი, სული ერად თითქმის სასოწარკვეთილნი შეყრილან აქ ერთად. შეჯგუფულან და შესტირიან ერთმანეთს: ჰგოდებენ, ოხრავენ და ნაღვლით სავსე მწუხარების ალი სწვავს და სდაგავს საბრალოებს!!. სულ გრძნობა დახშულნი უნდა ბრძანდებოდეთ, აქ შემოხვიდეთ და ჩვენ არ შეგებრალოთ!.. ყველას მორჩილების, შებრალებისა და რაღაც მონობის ბეჭედი გვაზის... ჩვენს შინაგან ბრძოლას, სულიერ მოძრაობას—ჩვენივე სახის გამომეტყველება გეუბნებათ... აბა დაგვაკვირდით კარგად!?. დაგვაშტერდით!!. ხომ ველარ ხედავთ იმ მოციმციმე სიცოცხლით სავსე თვალებს, რომლებიც ამ რამდენსამე თვის წინად ბუნების მომხიბლველ სიყალბით თქვენთან ერთად სტკბებოდა!!. სადღაა ის პირმცინარე სახე, ის ცელქური მისვლა-მოსვლა, მოძრაობა და ხვევნა-ალერსი, რომლითაც ტანმრთელობის დროს თქვენთან ერთად ვსიამოვნებდი?! დიახ! აღარ არის, გაქრა, გაგვშორდა?!. ოოხ, საბრალონი?! მუდამ დღეს კვნესა-გოდება, გვერდში მწოლარის შენის მოძმის აუტანელი ტკივილები, რას არ გაგრძნობინებს სად არ გაგაფრენს?!.

მთელი ჩვენი გონება, სულიერი მოძრაობა მარტო ერთს ადამიანს შეუპყრია, მის გარშემო ტრიალებს, მას ეაჯება, ეთაყვანება და ნაღვლიანის ცრემლებით მასვე შესტირის. შესტირის, რადგან უკანასკნელი ჩვენი იმედი ისაა, მხოლოდ მისით განხორციელებულა. ის-ღაა დღეს ჩვენი მხსნელი, მფარველი ანგელოზი, შემნახველ-შემბრალე, სიკვდილის ბრჭყალებიდგან დამხსნელი...

— აი, გაიხედეთ! რა საზიზღარის სახით წამომართულა ჩემს წინაშე სიკვდილი?! ჰხედავთ, რა ბასრი ცელი უკავია ხელში? თქვენი ჭირიმეთ, რა საშიშარია?! ოოხ, ღმერთო! რა სატანჯველი იქნება აი, იმ აწყობილ ჩონჩხებში ჩავარდნა!! ხშირად გვაშინებს საავადმყოფოში ამგვარი ფიქრები. ზოგიერთებს ეს ფიქრები კიდეც გვიხორციელდება ხოლმე თვალ წინ; ვლამობთ ხელი წავავლოთ.. აი, ესეს არის ხელში ვიგდოთ და... ოცნების ნისლი თვალებიდგან გადაგვეწმინდება, გაწმენდილ გონებაში სალი ჭკუის შუქი შეანათებს, სასოწარკვეთილების ქარიშხალიც გადაივლის და ისევ ჩვენ-ჩვენ ნსავე ლოგინებზედ მწოლარენი ვრჩებით.

*** რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი ტფილისში დაარსებულის ახალის საკვირაო გაზეთის „Вѣстникъ горнаго дѣла и орошенія на Кавказѣ“. გაზეთში ბევრი საყურადღებო ცნობაა მოთავსებული. სხვათა შორის ამ პირველ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „შავის ქვის წარმოება კავკასიაში“, „რკინის მადნები მირულაში“ და სხვანი.

*** როგორც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის 1899 წლის ანგარიშიდგანა სჩანს, ამ წელს საფოსტო შემოსავალი იყო 182,180 მ., ტელეგრაფისა—52,270 მ., შინაგან დეპეშებისა—145,037 მ. და გარეშე საერთა-შორისო დეპეშებისა—21,599 მ. ამავე წელს დახარჯულა: მოხელეთა ჯამაგირი—117,448 მ. დაბალ მოსამსახურეებზედ—22,437 მ. შენობის ქირა, განათება და სხვა 19,414 მ. მანქანებისათვის—63 მ. კანცელარიისა და სხვა საჭირო საგნებზე 4,140 მ. სულ დაუხარჯავთ 163,502 მ. ასე რომ წმინდა მოგება 237,584 მანეთი ყოფილა.

*** ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას საჭირო თანხა იმ მემამულეთა დასაჯილდოებლად, რომელთა მამულებიდანაც მიწა მიუზომეს ნაქერალის გზა-ტკეცილს.

*** „ქუთაისის უწყებებში“ დაბეჭდილია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გენ.-მაიორის გერშელმანის შემდეგი ბრძანება: „შორაპნის მაზრის მკურნალს ტერლეცკის ვუცხადებ საჯაროდ საყვედურს ჭიათურის მარგანეცის მადნების მუშათა ქსენონის საქმეების ცუდად წაყვანისა და საზოგადოდ მადნებში საექიმო ნაწილის ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გამო“.

*** ს. ქვემო-ჭალა (გორის მაზრა). გასპიდან ჭალაში ამ სამის წლის წინათ ეტლები არ დადიოდა და ამის გამო მომსვლელ-წამსვლელნი ძრიელ გაჭირვებაში იყვნენ. უნდა ექირავათ ცხენი. გაზეთებს და წერილებს ხომ ვინ გვადირსებდა თავისს დროზე. ეხლა მ. პეტრე კარბელოვმა გაჰმართა ეტლი, რომელიც ყოველდღე იარება ჭალიდგან გასპში და უკან. ერთი კაცის წაყვანა ჰღირს ათი შაური. მ. პეტრეს მაგალითს შემდეგ სხვამაც მიჰბაძა. ეხლა ყოველდღე ორი ეტლი მუშაობს და ამნაირად მომსვლელს მოსვლა არ უჭირდება და წამსვლელს წასვლა. გაზეთები და წერილებიც თავისს დროზე მოგვდის, თუმცა წერილებს ეხლაც ზოგჯერ თვე მოუგვიანდება ხოლმე.

*** დაბა ჩურუქსუ. უკანასკნელ 10—12 წლის განმავლობაში ჩურუქსუ შესამჩნევად გაიზარდა. მანამდე თუ აქ ვერ იპოვნიდით 5 ქართველსა და 5 რუსს, დღეს პირველნიც ბლომად არიან და მეორენიც და გარდა ამისა ზაფხულობით დიდ ძალი ხალხი მოდის სააგარაკოთ კავკასიისა და რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდგან. წარმოიდგინეთ, მოსკოვიდან მოსულ მდიდრებსაც კი შეჰხვდებით ხშირად. გარეგნობითაც ფერი იცვალა ჩურუქსუმ: მანამდი თუ თითო ოროლა ქოხი საწყლად გამოიყურებოდა, დღეს ათობით და ოცობით ძვირფასი სახლებია გადაჭიმული, რომელთაც მშვენიერი ბაღები სასიამოვნო სუნელოვანებას ჰფენს.

კარგა ხანია, აქაურ ქრისტიანე და მაჰმადიან ქართველებს აზრად გვაქვს სამკითხველო დავაარსოთ, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხეთ, რადგან საქმის განმახორციელებელი არავინ აღმოგვიჩნდა.

*** კარალეთი (გორის მაზრა). ჩვენს სოფელში აგერ რამდენიმე ხანია სახადი მძვინვარებს, მაგრამ აქამდე პატრონი არავინ გამოგვიჩნდა. ამ აღდგომის დღეებში კიდევ სამი სული იმსხვერპლა სახადმა, მაგრამ ჩვენი მამასახლის-ბოქაული ყურადღებას არ აქცევენ. ასეთივე სენია გავრცელებული მეზობლად მდებარე სოფელ გორიჯვარში. ხალხი ამ სენს შავს სახადს ეძახის და ერთს კვირაზედ გაურბიან მისით გარდაცვალებულებს, მაგრამ განა ეს უშველის რასმე სენს, თუ დროზედ ყურადღება არ მოგვაქციეს და მკურნალი არ მოგვაშველეს?!..

*** ორშაბათს, 11 აპრილს საღამოს, 4½ საათზე მუშტაიდის ბაღში ჩხუბი მოუვიდათ მალაკნებს და რამდენსამე იმერელ ახალგაზრდა კაცს, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაიჭრა. დაჭრილნი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## ქართულის სიტყვის მოყვარეთა მიმართ.

მარად სახსოვარმა დავით ჩუბინაშვილმა 1882 წ. მაჩვენა პეტერბურგში იმ ლექსიკონის მასალა, ეხლა რო დაბეჭდილსა ვხედავთ და სახელად ქართულის ენის საუნჯე ეწოდება. სამწერლო ტაბლის უჯრაში დატანებული ჰქონდა კიდევ თავისებური უჯრედი იმდენ თვლიანი, რამდენიც საჭიროა ქართულის ანბანისათვის და შიგა და შიგ პატარ-პატარა შეკვრა სიტყვანაწერი ქაღალდის ნაჭრები ეწყო. ყველაფერი უთხრობდა, რომ განსვენებული მოღვაწე უჩვეულო ზრუნვით იყო გამსჭვალული, რომ მისი ენის საუნჯე, როგორც ზღვა წყალთა, ისე ქართულ სიტყვათა შესავსებელი ყოფილიყო. მაგრამ დიდ ფაფას დიდი სული ბერვა უნდოდა, მან, როგორც ერთმა, ეს ვერ შესძლო და ამიტომ მის ლექსიკონსაც, ათობით-კი არა, ასობით დააკლდა ისეთი სიტყვა, რომ ჩვენის ერის მეტყველებაში ჯერ კიდევ სული უდგია და არც აპირებს სიკვდილსა. დააკლდა აგრეთვე აუარებელი სიტყვა, რომელიც ჩვენს ჟურნალ-გაზეთობასა, წიგნებსა და ხელთ-ნაწერებშია გაფანტული. ამასობაში ვინ იტყვის, რომ ეს უბინაო სიტყვები ჩვენის ენის ნამდვილ საუნჯეს არ შეადგენდეს? ბევრი რამ დაწერილა და თქმულა ამ საუნჯის შეკრებისათვის, მაგრამ ლექსიკონი ჯერ კიდევ შეუკრებელია და შეიძლება, თუ ამ დროითვე რამე არ ვიღონეთ, დიდმა ხანმაც განვლოს მის შეკრებამდე და დავფაცურდეთ მხოლოდ მაშინ, როცა განსაცდელში ჩავარდება ქართული სიტყვა, ქართულის საერო სიტყვიერების არ იყოს, რასაც შემკრები და მოჭირნახულე ამ ჟამად მრავლად მოეპოვება.

ის ღონისძიება, ჩვენ რომ უფრო სახელდახელო და საიმედო გვგონია, შემდეგია. ამისთვის, ჩვენის აზრით, საჭიროა სამნაირი მუშაკი. ზოგი შეგნებული და მწიგნობარი უნდა დაუგდეს ჩვენის ერის ცხოველ საუბარსა და ჩვენის ცხოვრებისა და კულტურის აღმნიშვნელი სიტყვები ჩაიწეროს განმარტებითა და ჩვენებით, თუ რა თემში გაუგონია ის სიტყვები; ზოგმა ადევნოს თვალ-ყური ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთობასა და კერძოდ წიგნებსა და იქიდგან ამოკრიბოს იმისთანავე სიტყვები და ჩაიწეროს განმარტებით და წყაროს ჩვენებით; ზოგმა კიდევ, ვინც ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლით აღძრული მკელ ხელთ-ნაწერებს ჰკითხულობს და არჩევს, არ დაიზაროს მასთანვე ცალკე შესანიშნავი სიტყვების ამოკრება და ჩაწერა წყაროს ჩვენებით. რასაკვირველია შესაძლოა, ეს შრომა, სამნაირად განაწილებული, ერთმა ადამიანმაც გასწიოს მეტ ნაკლებად, ანუ სავსებით, მაგრამ, შრომის დროს-კი, საჭიროა ყურადღება მიექცეს აგრეთვე იმასაც, რომ როგორც ფრანგულს ლექსიკონსა აქვს შეკრებილი გალლიციზმები და პოეტიური სიტყვით საქცევები, ისე ქართულის ლექსიკონისთვისაც შეიკრიბოს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ივერიზმები და პოეტიური სიტყვა-საქცევები. მაგ. ავიღოთ ორი ხალხური გამოთქმა: 1, ღლის სულით გაკეთება, ე. ი. კიდრე დღეს სული უდგია ანუ დაღამდებოდეს; 2, ნირის შეშლა, ე. ი. გუნების დაფანტვა. პირველი უნდა ჩაიწეროს „სულის“, ხოლო მეორე „ნირის“ მუხლში. ამით სულისა და ნირის განმარტებას შეემატება კიდევ სხვა, რომელიც ჩუბინაშვილის ლექსიკონს აკლია. ამგვარად შესაძლოა თანდათან შეიკრიბოს სალექსიკონო მასალა და გამოქვეყნებულ იქმნეს, ჩუბინაშვილის ქართულის ენის საუნჯესთან შეფარდებით, მხოლოდ ის სიტყვა, რომელიც ლექსიკონს სრულიად აკლია ან ისეთი, რომელიც ლექსიკონში იპოვება, მაგრამ ჯეროვნად-კი ვერ არის ახსნილი. ამით ჩუბინაშვილის ქართულის ენის საუნჯე თითქოს გაგრძელდება და როცა საკმაოდ ბლომად გამოქვეყნდება მასალა, შესაძლებელი გახდება, განსვენებულის ლექსიკონის გაგრძელებად დაიბეჭდოს იგი, თუ ხელ-მოკლეობამ ქართულის ენის საუნჯის ახლად და შევსებულად დაბეჭდვა ვერ გაგვაბედვინა. ორსავ შემთხვევაში თაოსნობა ჰმართებს „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა ეუფლოს და საკუთრებად გაიხადოს ქართულის ენის საუნჯის ბეჭდვის სიმართლე.

ვინც ამ წინადადების თანამგრძნობელია, უმორჩილესად ვთხოვ ჰგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში ლექსიკონის მსგავსად დაწერილი სიტყვები იმდენი, რაც ხელად შეკრებული ჰქონდეს იმ დროისთვის და იმედი გვაქვს პატივცემულის გაზეთის გამგეობა არ დაუჭერს მცირეოდენ ადგილს, რომ გამოაქვეყნოს წარმოდგენილი მასალა.

აი, მომავალის შრომის ნიმუშიც.

მასალად
ქართულის ენის საუნჯისა.

ა

**არნაბი**...; ტარიანი ფიცარი კალოზე სახმარი და სახლის გადმოსათოვლად. ლეჩხ.

**აზირ**, განა არ სჯობია. ქუთ. ჯდომას აზირ იარო.

**ავ-ყია**, უწმაწურად მოლაპარაკე. იმერ.

**ასაკი**...;—ზომისა, მოწიფულობის დრო. ასაკსა ზომისასა მიწევნულ არს. აბიათ. ღვდ. ქ-ცხ. ნაწ. I.

**ასანიში**, ჯალათი. აბიათ. ღვდ. ქ.-ცხ. ნაწ. I.

**ალსარებული**, თქმული. ერთ-ღვთაებით ალსარებული, მამათ ცხოვრება.

**ანგალი**, დასაწონი, დანაწონი.

**აბრა**...; აბრაჲ გაუხდა, გაუსწორდა, თბილ.

**არაყანი**, უდუღარ რძეს ნაღებს რომ მოხდიან. ქართლი.

ბ

**ბოც-ორი**, თითო კურდღელი, რაჭა.

**ბეჭი**...; ბეჭის მოთლა კიკნაძესი, ე. ი. ერთ გრძელ და შეუწყვეტელ ბაზთად. იმერ.

**ბოჩოლა**..; ცხოველთა ტყავი გატენილი რითიმე.

**ბალღუმი**, კურტნის დასამაგრებელი ტყავი ძუას ქვეშ ამოდებული. იმერ.

გ

**გაჭამაჭია**, გასაჭირი, ერთსა და იმავე დროს რამდენსამე საძნელო საქმეზე ყოფა. იმერ.

**გაკვრა**...; უზანგის გაკვრა და ცხენოსნობა, მასთან სიმრავლე მიქელაძისა, ე. ი. უებრო მხედრობა. იმერ.

**გონჯი**...; ორსული. გონჯადარი. გურ.

**გორიცა**, თავ-ძირ ფართო, მოგრძო ტკჰრის-გოდორი ზურგზე მოსაკიდი. გურ.

**გლემურძი**..; მაგარი, ძლიერი, ხელმარჯვე. იმერ.

**გლურძი**, ტლანქი, უხაიათო. იმერ.

**გატეხა**... აქაშს გავტეხ, ე. ი. სანაძლეო და ქათმის მკერდის ძვალს გავტეხ. ქართლი.

**გადამეტი**, ნამეტნავი. იმერ.

**გულამბარი**, გულის ასაფარებელი ბავშვთათვის. იმერ.

დ

**დაბმა**... დააბეს ბასტი, ე. ი. სიარული გააბეს. ქართლი.

**დასისხლვა**, საურის გადახდევინება.

**დამხდური**..; გამოძიების დროს მოწმად დასწრებული.

**დახემხება**, ცოტას ჭამა. იმერ.

**დაჭყარჭვალიტება**, ტანის აჭრელება, ველურმა ხალხმა რომ იცის. გაზ. „კვალი“.

პეტრე მირიანიშვილი

(დასასრული იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დიდი-ჯიხაიში** (ქუთაისის მაზრა). ერთი წლიწადია მას აქეთ, რაც სამარხი კასსის დაარსება განვიზრახეთ, რისთვისაც მთავრობასთან ნება რთვის თხოვნა გვქონდა გაგზავნილი და დღემდის გულ-მოდგინედ მოველოდით დამტკიცებას. დღეს-კი აგვისრულდა მოლოდინი და მარტის შუა რიცხვებში გამოგვიცხადეს გარდაწყვეტილება. ეხლა ჯიხაიშლებს გვაქვს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, საქალებო სკოლა, სამარხი კასსა, ბანკი და წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ეხლა კიდევ შევუდექით სასოფლო საავადმყოფოს დაარსებას, რომლის შენახვა უნდა იკისროს თვით საზოგადოებამ. ეს

---

ავადმყოფებისათვის ორი ხანა ღირს შესანიშნავია საავადმყოფოში: მნახველების შემოსვლა და მკურნალების ჩამოვლა. ამ დროს მუდამ დაწუხებულს ჩვენს პირის სახეს უცებ რაღაც სიამოვნების სხივი მიეფინება, ნაღვლით სავსე ჩაკეტილ გულში ჩააშუქებს საიმედო სხივები და მნახველების მხიარული მუსაიფი სიტკბოებას გვაგრძნობინებს. აი, ჩემს გვერდით დავრდომილ ავადმყოფს მაგრად ჩაჰკვრია გულში მშობელი დედა და ცხარის ცრემლის ნაკადულით სწმენდს და ულბობს ავადმყოფს სუსტსა და დაკოდილს მკერდს. იქ მეგობარს მეგობრის ხელი მაგრად დაუჭერია და იმედ-სავსე სიცილით დაჰხარის თავზედ. ყველა ჰხარობს, ყველა იმედის თვალებით გამოიყურება, მხოლოდ მე, მე ვარ საბრალო!!. „დღეს უნდა გამჭრან!“... ოხ, ღმერთო! რა ლახვარივით მხვდება ეს სიტყვები, რა სიმძლავრით, სრულიად შეუბრალებლად მჩხვლეტს და მწიწკნის ავადმყოფ გულის ძარღვებს!.. „უნდა გამჭრან“. ჰმ!.. რა ძნელია?!. ეგებ ეს იყოს ჩემი სიცოცხლის დასასრული!.. ამ საავადმყოფოში გათავდეს ჩემი ხან-მოკლე სიცოცხლეც!.. მაშ რად მითხრა: ჭირისუფალი გყავს ვინმე, თუ არაო!.. ალბად სრული უიმედობაა... ოხ, ღმერთო! ჩემთვის ეს წამი ჯოჯოხეთის წყვდიადია!.. ისე ველი, როგორც სიკვდილით დასასჯელი სარჩობელას!.. ნეტავი იმას მაინც მისცემდნენ ნებას?! მაგრამ რას ვამბობ? ის ხომ სუსტის გულისა არის... იმ ხომ სულ ნაზი ქმნილებაა?! ხომ გაგიჟებით ვუყვარვარ?! მერე? მგრძნობიარეთ მოსიყვარულე გულს ნუ თუ შეუძლიან მეგობრის ტანჯვა-წვალების გულგრილად ცქერა?!. არა, ის სრულებით ვერ აიტანს ჩემს წვალებას?!მაშ ისევ მარტოობლად, სხვის ხელში, სხვის მკერდზედ მიკრულს უნდა ამომძვრეს სული?!. მაგრამ... რატომაც არ უნდა დამესწროს?დეე ჩემს ტანჯვაში იმანაც მონაწილეობა მიიღოს!.. აკი მეუბნებოდა: „ოღონდ თანამიგრძნე და შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი და შენთან დარჩენაო“! აი ჩემი წამების დღეც! ჩემი სიცოცხლე ჯალათის ხელშია... მაგრამ ჩემი ჯალათი წითელ-პერანგა ჯალათი არ გეგონოთ!!. არა! სცდებით! მისი გულიც ისეთი სპეტაკი და უმანკოა, როგორც გარევანი მისი თეთრი ტანთსაცმელი...

აი მომიახლოვდნენ კიდეც... მერე? ერთის მაგიერ ორი... სამი... ოთხი... თეთრ პერანგა, მხიარულის სახით დამადგნენ თავზედ... ნეტავი სადა ვარ? ნუ თუ მართლა სიზმარში ვარ?! არა, სიზმარში არ უნდა ვიყო?! აი, ვხედავ კიდეც... მინდა ხელიც მოვკიდო, მაგრამ მკლავებში რაღაც სისუსტეს ვგრძნობ... თვალებზედ ნელ-ნელა ბნელი ზეწარი მეფარება. თეთრ პერანგა არსებანი თვალებიდგან მშორდებიან... კიდევ ერთი უკანასკნელი თეთრი ლანდიც, კიდევ რამდენიმე წამი და ოცნებას სადღაც განყენებულ სამეფოში მივყევარ... მივფრინავ და ვოცნებობ... რაღაც ჩურჩული კი მესმის... ჩემ გარეშემო ვიღაცის ფეხის ხმაურობა ისმის... სად ვარ? რაღაც გამოურკვეველ მგომარეობაში ვიმყოფები!.. ყოველ-გვარ ტკივილის გრძნობა მიმიყუჩდა... უწინდელი არც ტანჯვებია, არც უიმედობა, არც წარკვეთილი სასოება! სულ გამოვიცვალე, გადავხალისდი, ახლად დავიბადე!..

რამდენიმე წამიც და გამოვღვიძე... თან და თან გამოვერკვიე... მაგრამ უცებ ისევ შევკრთი... ტიტველი ლოგინში ვგდივარ... თავზედ თეთროსანი მკურნალები მასგვიან... იმათაც რაღაც უჩვეულებრივო აღელვება ეტყობათ... მივიხედ-მოვიხედე... უფრო გარკვევით გავარჩიე საგნები... გულმაც უფრო თამამად მიწყო ძგერა... უცებ, დაუფიქრებლად, წამოვროშე:

— რა ამბავია? რას მიშვრებით?

— გაგჭერით, სენისაგან გაგკურნეთო!

მომესმა იმედების სხივ მომფენი სიტყვები. ეს იყო და ეს...

იმ დღეს აქეთ რამოდენიმე წელიწადმა განვლო. ბევრი რამ ცვლილება მოხდა ჩემში. ბევრი გაჭირვება-დალხინება გამოვიარე ცხოვრებაში, მაგრამ ეს უკვდავი სიტყვები: „გაგჭერით, სენისაგან გაგკურნეთო!“ ჩემის მეხსიერებიდგან დღესაც არ ამოშლილა...

თეოფ. ხუსკივაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად სასარგებლო საქმე იგის რა ბ-ნმა გ. კაშაკიძემ, იმან გააგებინა საზოგადოებას, თუ რა არის საჭირო ამ სააკადმყოფოსათვის სოფლის მხრივ და აგრეთვე ისიც, თუ რა სარგებლობა შეუძლიან მოიტანოს სააკადმყოფომ; რამდენ ხარჯს აცდენს იგი მცხოვრებლებს, რომელნიც იძულებულნი არიან ამ ჟამად საჭიროების დროს ხონიდგან მოიწვიონ ექიმი, ან სამტრედიიდგან, რადგან თითოეულ მოწვევას უჯდებათ არა ნაკლებ ათის მანეთისა. ბ-ნ გ. კაშაკიძის სიტყვით, სააკადმყოფოში იდგმება ორი საწოლი, გვეყოლება ერთი მკურნალი, ფერშალი და ბებია, და ყველა ეს წლიურად დაჯდება 3000 მანეთი. მცხოვრებლებს შეეძლიანთ ისარგებლონ მკურნალითა და წამლით უფასოთ. ბ-ნმა კაშაკიძემ აუხსნა აგრეთვე საზოგადოებას, რომ რადგან თქვენ ყველანი—თავადნი, აზნაურნი და გლეხნი—ათასს კომლზედ მეტნი არა ხართო და ეს ხარჯი ძალიან მძიმე იქნება თქვენთვის, შეგიძლიანთ მეზობელ სოფლიდგან 500 კომლი შემოიმატოთ, მაშინ სულ 1500 იქნებით და ძალიან იაფად დაგიჯდებათ სააკადმყოფოს შენახვაო; თითოს მაშინ ორ მანეთზე მეტი არ შეგხვდებათ წლიურად გადასახადი და ზოგს კიდევ უფრო ნაკლები, რადგანაც ბევრი სამ-სამ მანეთსაც გადიხდის და ამათ მისცემს შეღავათს ქონებრივად ხელ-მოკლეთო. ძალიან მოხარული დარჩა საზოგადოება ბ-ნ კაშაკიძის სიტყვებით და დიდი მადლობა შესწირეს. იმედია, ბ-ნი კაშაკიძე და აგრეთვე სხვებიც, რომელთაც ცოდნაც მოსდევს საქმისა და საზოგადოებაზედ გავლენაც აქვთ, რაც შეიძლება, მალე განახორციელებენ ამ საქმეს. სოფლების მხრივ, ჩემი აზრით, დაბრკოლება არ შეხვდებათ, რადგან ისინი შეუგნებლები არ არიან, რომ არ ესმოდეთ თავიანთი სარგებლობა.

Repentinus

## მცირე შენიშვნა

(ჩვენს „მარქსისტებს")

„Все движется, все измѣняется".

გახურდა პოლემიკა, მარა რა პოლემიკა! სწორედ დაგვიდგა ის ნეტარად სახსენებელი მესამოცე და მესამოცდაათე წლები, როცა ეგრედ წოდებულს „ძველსა და ახალს თაობას", „კოლობუზებს" და „აირანპლო ხარაბუზებს", „გუდაბზიკებს" და „მოენიძეებს" დიდი ალიაქოთი ჰქონდათ. იქამდე მიაღწია მათმა „რახტისა ყდერამა", რომ პუბლიცისტებმაც-კი მოშაირეობა იწყეს. პუბლიცისტმა ბ-ნმა სკანდელმა, თუ არა ვცდები, ერთ დროს ჩახრუხაულის ლექსთა წყობით დრამაც-კი უძღვნა ჩვენს მაშინდელ მწერლებს, მათი დევგმირულ მოქმედების დასასურათებლად, ხოლო ბ-ნს ანტონს სამწუხაროდ ამ დრამაში კომიკურ-ტრაგიკული როლი „ჰხვდა წილად"; ამ პატივცემულის მწერლის ხორციელი ნაკლიც არ შეიწყნარეს და „ტახტის ქვეშ" გააგორეს! ასეთი იყო მაშინდელი პოლემიკის ფანდები, მაგრამ, ღვთის მადლით, არც ეხლანდელი პოლემიკაა მოკლებული დიდ მნიშვნელოვან ოინებს! მართალია, ჩვენი მწერლობა ყოველთვის დამატები და მკრთალი მიბაძვა იყო თანამედროვე რუსეთის მწერლობისა, მაგრამ ასეთი დროს შეუსაბამო და უკან ჩამორჩენილი, როგორც დღესაა, არასოდეს! რუსეთში ასეთის პოლემიკის ქარ-ცეცხლი კარგა ხანია ჩანელდა. ეხლა სხვა, უფრო სერიოზული, დამჯდარი კილო და ხასიათი მიიღო კრიტიკა-პოლემიკამ ჟურნალ-გაზეთობაში. მაგრამ ჩვენ, ქართველები, აბა რის ქართველები ვართ, რომ ყველას უკან არ ჩამოვრჩეთ და ჩანჩალით არ მივდიოთ დაწინაურებულ ერებს?! აგერ, რუსეთში ცნობილმა მეცნიერმა კარლოს მარქსმა სახელი და დიდება მოიხვეჭა, მისის მოძღვრების მტერ-მოყვარენი ცხარე ბრძოლის შემდეგ დასცხრნენ, დაშოშმინდნენ. ერთი თუ ორი მებრძოლთაგანი კიდეც შეუდგა კრიტიკას ამ მოძღვრებისას და ლამის ახალი სისტემა შექმნას, მიერეულად შესცვალოს დედა მარქსის ცნობილის თეორიისა. აი რას ამბობს ერთი ამათგანი:

„ამ წერილში, რომელიც მხოლოდ ერთი მუხლია მთელი ჩემი ჯერ დაუმთავრებელის თხზულებისა, ვეცდები თვალ-საჩინო ვყო ის ლოღიკური წინააღმდეგობა, რომელსაც მე შრომითი ღირებულობის თეორიის უმთავრესს ა ნ ტ ი ნ ო მ ი ა დ ვთვლი და რაიცა იფარება მარქსის მექანიკურ თეორიის ფორმულაშიო". (Въ настоящей статьѣ, которая представляетъ собой лишь особо выдѣленный § изъ въ большей своей части уже написаннаго критическаго изслѣдованія о цѣнности и цѣнѣ, я попытаюсь вскрыть то логическое противорѣчіе, которое я считаю основной антиноміей теоріи трудовой цѣнности въ механической формулировкѣ Маркса").

ჩვენ კი მკელებურად-ჩვენებურად გრიგი გაგვიმართავს და მოგეცათ ღვთის წყალობა მტვერი ავადინეთ ზურგზედ საცოდავ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს: არც ერთი საკითხავად აღარ ვარგა! სულ ლანძღვა-თრევა, ერთმანეთის დამცირება და მსხვილ-მსხვილი ავტორიტეტების ბრაგა-ბრუგი ისმის! საცოდავ მკითხველს ყურს ვინღა უგდებს! კმარა! ეხლა მაინც გავიგოთ, რომ ქართველს მკითხველს სულაც არ აინტერესებს, თუ რომელს ენაზედ და რა ზომით შეუსწავლია „კაპიტალი" თითოეულ ჩვენთაგანს! ის ითხოვს: 1) ცოდნას მეცნიერულს, 2) გაგება-შეგნებას სოციალურ პირობებისას, და 3) სასტიკად დაცვას ინტერესებისას და მეტს არაფერს! „ისმინეთ და უგრად იქმენით", ქართველნო „მარქსისტნო"!

გამოსულა ერთი ამათგანი ამას წინად და დოინჯ-შემოდგარი ამაყად გაიძახის: „ჩვენ უნდა განვაგრძოთ საქმენი მარქსისაო" და იმავე დროს „კაპიტალის" ფურცლებზედ ბანკების შესახებ სწერს და ქარ ბუქს აყენებს! აი „მარქსისტიც" ამასა ჰქვიან! „მარქსის საქმეთა განგრძობაც" ეს არის! საცოდაობაა სწორედ, როცა ქართველი მარქსის საქმეთა განგრძობის შესახებ გაიძახის და იმ დროს მხოლოდ ბანკი ეღანდება. დიაღ, აი, გამოსულან „მარქსისტნი" ქართულ გაზეთების ფურცლებზე და ბაქიაობენ: არა მე უფრო კარგად მესმის „კაპიტალი" და არა შენ! ის-კი არ გაუგიათ ამ დაგვიანებულ და უნიადაგო „იდეოლოგებს", რომ მარქსის მოძღვრება კარგა ხანია გაგებულიცაა, „გადაღეჭილიც" და აგერ კრიტიკის დარჯაკშიაც ატარებენ მას! სრულს სინამდვილეს აღიარებს „ივერიის" „ახალ-მოსული", როცა ამბობს: ერფურტის პროგრამამ თავისი დრო მოიჭამაო! დიაღაც რომ მოიჭამა! ეს გაუგია „ახალ მოსულს" და ძველ-მოსულს და ბ-ნ ჟორდანიას-კი რომ ვერ გაუგო თავისს დროზედ რა გასაკვირია!? მოგეხსენებათ, თუ რა ძნელია ქართველ მწერლისთვის, თვალ ყური ადევნოს ევროპის მწერლობისა და ცხოვრების მიმდინარეობას; ამიტომ დასამრახისიც არ არის ჩვენი „ახალი ბურჯი", რომ ასეთი ძველი ამბავი არ იცოდეს! რაც შეეხება ბ-ნ გ. წ., იგი სრულიად თავისუფალია პასუხის გებისაგან. აბა, რუსეთის პროვინციაში ერფურტის პროგრამას რა უნდოდა?! რაც მართალია, მართალია! ეს ხომ ასეა, მაგრამ არა ნაკლებ მართალია ისიც, რომ ჩვენნი „მარქსისტნი" „ხალხის" სახელით და პროლეტარიატის დროშით გამოდიან მოედანზედ და ლაქია მოსამსახურეებს ექომაგებიან; თან რიხით გაიძახიან: ჩვენ „ხალხის", პროლეტარიატის დამცველნი და მებრძოლნი ვართო! სწორედ სამწუხაროა, სასაცილო რომ არ იყოს! ამ ჩვენ „ლაქიათა" ფილოსოფოსებს „ას ერთი" „მოსამსახურე" ქართველ მშრომელ ხალხად მოუნათლავთ და „ივერიას"-„მოამბეს" ამ ლაქიათა რაზმით დედამიწის ზურგიდგან აღგავს უქადიან! ეს, თუ დიაჯერებ, ქართველო მკითხველო, არა თუ ერფურტის პროგრამის დრო-წასულობის უცოდინარობაა, არამედ მისი სრულიად შეუგნებლობა უგვარადღებობაც! მახლას, ქართველო „მარქსისტო"!

არც მტერი და არც მოყვარე

# რუსეთი

გზათა სამინისტროს ნება დაურთავს ყველა სახაზინო რკინის გზებისათვის, რომ დაარსებულ იქმნას საღამოს კურსები ხსენებულ გზებზე მომუშავეთათვის. ამ საგნისთვისაც გადადებულ იქმნება საგანგებო თანხა.

— თუ რა მდგომარეობაშია სამეურნეო სწავლა-განათლება რუსეთში, ვტყობულობთ შემდეგ ცნობებიდგან: სულ იმპერიაში 4 უმაღლესი სასწავლებელია სამეურნეო და სატყეხნიკო (ერთი სამეურნეო, ერთი სატყეო და ორი სამთო), 12 საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, 74—დაბალი, 4 ქალთა სამეურნეო სკოლა, 31 სპეციალური სკოლა, 30 სატყეო სკოლა, 4 კერძო სამერნეო სკოლა, 9 სამეურნეო ფერმა, 16 სამეურნეო საცდელი სადგური, 21 საცდელი მინდორი, 5 ბაქტერიოლოგიური დაწესებულება და დიდძალი მეტეოროლოგიური სადგურები.

— სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარედგინა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნას აქციზი რუსეთში შემოტანილ უცხოეთულ ნავთზე.

# უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ექვს თვეზედ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქ მეფეკინგს ბურების ჯარი გარს არტყია და ამ ხნის განმავლობაში ამ ქალაქის მდგომარეობა არ შეიცვალა, ე. ი. ვერც დაიმორჩილეს ბურებმა ის და ვერც ინგლისის მხედრობამ მოახერხა, რომ ასეთ აუტანელ მდგომარეობიდან გაანთავისუფლოს იგი. როცა ამ ერთი თვის წინად ფელდმარშალი რობერტსი ძლევა-მოსილად შევიდა ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქ ბლუმფონტენში, ეჭვი არავის ჰქონდა, რომ მეფეკინგი მცირე ხნის განმავლობაში განთავისუფლდებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმე ისე არ დატრიალდა, როგორც მოსალოდნელი იყო, და მეფეკინგის მეციხოვნე ჯარს და მცხოვრებლებს ბედმა არ გაუღიმათ. რაღა თქმა უნდა, ამდენ ხნის განმავლობაში ალყა შემორტყმულ ქალაქს ყოველივე სურსათი შემოელეოდა და ამის გამო დღეს ის ბევრად უფრო გაჭირვებულია, ვინემ აქამდისინ იყო. ამას თვალ-საჩინოდ გვიმტკიცებს მეფეკინგში მყოფ ერთი ქალის წერილი, რომელიც ამბობს: „შიმშილისაგან თანდათან უფრო ვიტანჯებით». არავითარი ნიშან-წყალი არ არის იმისა, რომ განთავისუფლება ჩქარა გვეღირსოს. დღეგანდელამდის (5 აპრილი) ქალაქისათვის ყუმბარები არ დაუშენია მტერს მას შემდეგ, რაც გენერალმა სნეიმანმა თავისი ჯარის დიდი ნაწილი ჩრდილოეთისაკენ წაიყვანა, რათა გზა შეეკრა ინგლისის ჯარისათვის, რომელიც მეფეკინგის განსათავისუფლებლად მოდიოდა. მაგრამ დღეს-კი ყუმბარების სროლა განაახლეს ბურებმა შორს მსროლელ მძიმეს ზარბაზნებიდან. მას შემდეგ, რაც ბურები გარს არტყიან მეფეკინგს, დღემდისინ არ უხმარიათ ეს ზარბაზნები და აქაური მხედართ მთავარნი აცხადებენ, რომ ინგლისის არტილერიაში არ მოიპოვება ისეთი ზარბაზნები, რომელნიც შეედრებოდნენ ბურების აქაურს ზარბაზნებსო. რამდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა ბავშვების სააკადმყოფოს მახლობლად, მაგრამ, საბედნიეროდ, ვნება არა მოუტანიათ-რაო".

— როგორც უკვე ვიცით, ომის გამოცხადების შემდეგ, ბრიტანიის ბევრი ქვეშევრდომი დარჩა ტრანსვაალში, მომეტებულ ნაწილად წვრილი მოვაჭრეები და მუშა ხალხი. მაგრამ შემდეგ ტრანსვაალის მთავრობამ უხერხულად სცნო მათი იქ ყოფნა და ყველას ბრძანება მისცა, რომ მოკლე ხნის ვადაში უთუოდ გასულიყვნენ ტრანსვაალიდან. ეს ბრძანება, რაღა თქმა უნდა, შესრულებულ იქმნა, რამაც დიდს გაჭირვებაში ჩააყენა ინგლისის მრავალი ქვეშევრდომი და აგრეთვე ინგლისისავე მთავრობის წარმომადგენელნი სამხრეთ აფრიკის სხვა-და-სხვა ადგილას. მაგალითად, როგორც ლორენცო-მარკეზიდან ატყობინებენ გაზეთებს, იქ იმოდენა ინგლისელი მისულა ტრანსვაალიდან, რომ ბრიტანიის კონსულს ერთობ გასჭირვებია საქმე, რადგან ვერა მოუხერხებია-რა, რომ იმდენი მშიერ მწყურვალე და სავსებით გაღატაკებული ხალხი შეინახოს. ნატალის მთავრობაც ასეთსავე გაჭირვებაში ჩავარდნილა და ამის გამო განკარგულება მოუხდენია, რომ დურბანში გემებიდან ხმელეთზე გადასვლის ნება არ მისცენ იმათ, ვისაც ცხოვრების სახსარი არ აქვს. უკანასკნელ ხანებში კიდევ 1500 ინგლისელი განუდევნიათ ტრანსვაალიდან, რომელთა შორის 800 კაცი სავსებით უფულო გაღატაკებული. ცხადია, ეს გარემოება კიდევ უფრო დაათვიქრებს ინგლისის აგენტებს სამხრეთ-აფრიკაში, რადგან ომიანობის დროს ამოდენა გასაწყლებული ხალხის პატრონობა და რჩენა ადვილი საქმე არ არის.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად იტალიელმა მეცნიერმა პროფესორმა ლომბროზომ დასტამბა წერილი ამ სათაურით: „ველოსიპედი და დანაშაულობა". ამ წერილში პროფესორი იკვლევს იმას, თუ ველოსიპედს რა ზარალი და რა სარგებლობა მოაქვს. ლომბროზოს აზრით, ველოსიპედის გავრცელებასთან ერთად დანაშაულობამაც იმატა. ველოსიპედი ხელს უწყობს ახალგაზდა ყმაწვილების დაახლოვებას, ერთად სეირნობას და სხვას. ველოსიპედი დიდს დახმარებას უწევს ქურდებს, ავაზაკებს, ჯიბგირებს, და სხვებს, რომელთაც ველოსიპედისთანა სამსახურს ვერც ცხენი, ვერც ეტლი ვერც რკინის გზა და ვერც სხვა რამ ვერ გაუწევს, აი, მაგალითიც: ამას წინად პარიჟის ერთ ქუჩაში გაჩერებულა ეტლი, ეტლიდგან გადმომხტარა მდიდრად ჩაცმული მანდილოსანი. იმავე წუთს ველოსიპედით მისულა იქ, სადაც ეტლი გაჩერებულა, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, გადმომხტარა, მიჰვარდნია მანდილოსანს, ჩამოუგლია და ჩამოუგლეჯია რაც რამე ძვირფასი ჰქონია, შემდეგ შემხტარა ისევ ველოსიპედზედ და გაქანებულა. ეტლით დასდევნებიან, მაგრამ დაწევით-კი ვეღარ დასწევიან. საველოსიპედო სპორტი ბევრ ყმაწვილ კაცებს ისე იტაცებს, რომ ხშირად ასეთ გატაცებას არა სასურველი ნაყოფი მოსდევს. ბევრჯელ ყმაწვილ კაცს ველოსიპედი არა აქვს და იმის შესაძენად არაფერს არ ერიდება. ლომბროზოს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმისა, რომ ყმაწვილ კაცებს დანაშაულობა ჩაუდენიათ ველოსიპედის შესაძენად. მაგრამ ყველა ამასთან ერთად, იმავე ლომბროზოს სიტყვით, ველოსიპედს სარგებლობაც მოაქვს. უპირველეს ყოვლისა ველოსიპედის წყალობით ქალაქებისა და სოფლების განაპირა ადგილები დაუახლოვდა შუაგულ ადგილებს. ამას გარდა თუ ველოსიპედი ქურდებს ხელს უწყობს, იგივე ველოსიპედი მართლ-მსაჯულებასაც უწევს სამსახურს და ქურდების დაჭერას უადვილებს. ველოსიპედი სასარგებლოა კიდევ ლოთებისა და იმათთვის, ვისაც ნაკლები მოძრაობა აქვს და ვინც მუდამ კანცელარიაში ჰზის.

* * *

კარგა ხანია გავრცელდა ის აზრი, რომ რაც დრო და ხანი გადის, რაც ხალხთ შორის ცივილიზაცია მკვიდრად იკიდებს ფეხს, კაცის სიცოცხლე მოკლდება და თან-და-თან გადაშენების გზაზედ დგებაო. ეხლა ვინმე ტეილერი ერთს ჟურნალში ამტკიცებს სულ წინააღმდეგს. ტეილერის გამოკვლევით, დღეს კაცი დიდხანს სცხოცხლობს, ვიდრე წინად. მაგალითად, წარსულ საუკუნესთან შედარებით ორთა შუა რიცხვით კაცის ცხოვრებას ათი წელიწადი მოემატა. სხვათა შორის ტეილერს გამოუკვლევია მრავალის შესანიშნავის კაცის ცხოვრება და შემდეგი ცნობები შეუკრებია: ორთა შუა რიცხვით 46 შესანიშნავ პოეტს თითოს 66 წელიწადი უცხოვრია; 39 მხატვარს—66 წელიწადი; 30 მემუსიკეს—62 წელ.; 26 რომანისტს—63 წელ.; 40 ლიტერატორს—67 წელ.; 18 ფილოსოფოსს—65 წელ.; 38 ისტორიკოსს—73 წელ.; 58 სწავლულსა და გამომგონს—72 წელ.; 14 აგიტატორს—69 წელ.; 48 სარდალს—71 წელ.; 112 სახელმწიფო მოღვაწეს—71 წელიწადი.

* * *

ვინმე ლეიე შემდეგს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც მოროკოროში მომხდარა აღმოსავლეთ აფრიკაში. „სულთანის მეუღლის სიმბამუენეს ძმამ კინგომ,—სწერს ლეიე—ამას წინად მაჩუქა ლომის მშვენიერი ტყავი. ეს ლომი შიშის ზარსა ჰგვრიდა მთელს მოროგოროს, ვიდრე ბოლოს კინგომ რამდენიმე ასი კაცი არ წაიყვანა და არ მოკლა იგი. მოროგოროში მისიონერებიც სცხოვრობენ. ლომი სიცოცხლის დროს ძალიან ხშირად ამ მისიონერების სახლსაც ეწვეოდა ხოლმე. ერთხელ ლომი მისულა ბოსელთან, სადაც მისიონერებს საქონელი ჰყოლიათ, მაგრამ რომ ვერაფერი გაუწყვია, ბოსლისთვის თავი მიუნებებია და მისიონერთა სადგომის ბალკონზედ ასულა. კარგა ხანს უსეირნია თურმე ამ ბალკონზედ, შემდეგ გაღებულ ფანჯარასთან მისულა, შეუხედნია შიგ და თავისი ღონიერი თათიც შეუყვია. ოთახში ერთს ბერსა სძინებია, ხმაურობაზედ გამოჰღვიძებია და ფანჯრისკენ გაუხედნია; საწყალს შიშისაგან გონება სულ დაჰბნევია. არავითარი იარაღი არა ჰქონია და გაქცევაც შეუძლებელი იყო თურმე, რადგანაც ერთად-ერთი კარები ბალკონზედ გადიოდა; ამიტომ ადგილიდგან აღარ დაძრულა და ლოგინში გაშეშებულა. დიდხანს იდგა თურმე ლომი ფანჯარასთან და იყურებოდა ოთახში, ბოლოს ხელ-ახლა ბალკონზედ სიარულს შესდგომია. მისიონერების სახლს ლომი მხოლოდ გათენებისას გასცლია. მისიონერი გაფითრებული და გონება-დაბნეული უნახავთ მეორე დღეს ლოგინში. საწყალი ერთი კვირა აღარ ამდგარა თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს მათი უდიდებულესობანი 11 საათზედ ბრძანდებოდნენ ნოვოდევიჩის მონასტერში, რომელიც 1524 წელს არის დაარსებული. იქვე მიბრძანდნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ანდრეი ვლადიმირის ძე. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს მონასტერი და მიძინების ეკკლესიაში შებრძანდნენ. 3 საათსა და 15 წუთზედ მათი უდიდებულესობანი დიდს მთავრებს ვლადიმირ ალექსანდრეს ძის და ანდრია ვლადიმირის ძესთან ერთად ბრძანდებოდნენ ბოიარების რომანოვების სახლში და ზნამენის მონასტერში. მათ უდიდებულესობათ მიეგება გენერალი კუზნეცოვი და ტრუნოვსკი. მათ უდიდებულესობათ დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა ოთახები. ზნამენის მონასტერში მათ უდიდებულესობათ მიეგება დანიელის მონასტრის არქიმანდრიტი მიტროფანე. ემთხვივნენ-რა ჯვარს და მოისმინეს-რა მცირე ლოცვა, მათ უდიდებულესობათ მიიღეს მაცხოვრის ხატი და მონასტრის აღწერის წიგნი. აქედგან მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ძველს საქართველოს ღვთის მშობლის ეკკლესიაში. ხალხმა „ვაშას“ ძახილით გააცილა. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ეკკლესიაში მხატვრობა. ემთხვივნენ-რა სასწაულთ-მომქმედს საქართველოს ღვთის-მშობლის ხატს, სამრეკლოზედ აბრძანდნენ.

დღეს, დილის 11 საათზედ, მათ უმაღლესობათ გენერალ-გუბერნატორმა და იმისმა მეუღლემ მილოცვანი მიიღეს უმაღლეს მოხელეთაგან.

**ხარკოვი.** ოფიციალურ გამოკვლევით ცეცხლს მალინოვკაში 400 სახლამდე გაუნადგურებია.

**ლონდონი.** Daily „News“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან, რომ ამერიკის ლაზარეთი შაბათს უკან ნიუ-იორკისაკენ გაუდგა გზასაო. ამისი მიზეზი ისა ყოფილა, რომ ბურები ცუდად ეპყრობოდნენ თურმე. პრეტორიაში არსებულ დინამიტის ქარხნის მოსამსახურეებს მუშაობა შეუჩერებიათ, რადგანაც ექვსი თვე ჯამაგირი არ მიუღიათ. შემდეგ ამბობენ კიდევ, რომ ლუკა მეიერი მოჰკლესო.

„Standard“-ს ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ წინა დღეს დამარცხებულ ბურების რიცხვი 2000 იყოო.

„Stand.“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ ბურები ორის ზარბაზნიდგან ესროდნენ წყლის მილისაკენ გაგზავნილ ინგლისის ჯარსაო. წყლის მილი იმით დაზარალდა, რომ ბურებს წაუღიათ ზოგიერთი მანქანები. ხმა დადის, რომ სამხრეთ აღმოსავლეთისკენ გაჭიმულ გორაკებთან 3000-მდე ბურია გამაგრებულიო.

„Stand.“-ს ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან, რომ კვირას ბლუმფონტენთან მომხდარ ბრძოლაში ინგლისელები ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ, რადგანაც ადგილ-მდებარეობა ჩქარა სიარულის ნებას არ აძლევდათო. $3^1/_2$ საათამდე ინგლისელებს არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ ბურების სროლაზედ. მხოლოდ დაღამებისას ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა მაღლობებზედ. ორსავე მხარეს ზარალი ნაკლებად მოუვიდათ. დღეს დილით ტურეკმა მე-7 დივიზიით დემონსტრაცია მოახდინა კერი-საინგის აღმოსავლეთით.

**მასერუ.** ის ბურები, რომელთაც ვეპენერისაკენ დაიწყეს გენერალის ბრაბანტის მისვლისას, ღამე ხელ ახლა მიუახლოვდნენ რამდენისამე მილით ამ გენერლის ჯარს. ბრაბანტმა კარგი პოზიცია დაიჭირა სტრაუსის ფერმასთან. დღეს დილით ბურებმა სროლა დაუწყეს ექვსის ზარბაზნიდგან ვეპენერის მეციხოვნეთ. შემცდარი გამოდგა ის ხმა, ვითომ ვეპენერი განთავისუფლებულიაო. გენერალ გარტის ბრიგადა მიდის ბრაბანტის დივიზიისაკენ, რომელიც რამდენისამე მილის მანძილზედ უცდის ამ გენერალს.

**მასერუ.** ჯერ კიდევ არა სჩანს ბრიტანიის ჯარი, რომელიც ვეპენერის განსათავისუფლებლად მიდის. ჩრდილოეთ მხარეს ბურები საოცარის თავგამოდებით ელობებიან წინ გარტისა და ბრაბანტის ჯარს. ოლივიე ემზადება 1500 კაცით იერიში მიიტანოს გარტზე.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება, რომ 15—17 აპრილს მომხდარ ბრძოლაში ფილიპინელებმა დაჰკარგეს 333 კაცი, მაშინ როდესაც ამერიკელების მხრივ მოკლულია სულ ორი და დაჭრილია ოთხი კაციო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება ბლუმფონტენიდან, რომ დღეს დილით გენერალმა ჩერმასაიდმა დაუბრკოლებლივ დაიჭირა დევეტსდორპიო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ ბურების ბანაკიდგან, რომელიც ფორტენსტრიმოს ქვემოთ იმყოფება: განთიადისას ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს ბურების ბანაკს. ისროდნენ ლიდიტიან შრაპნელებს და გრანატებს, მაგრამ ჯერ დიდი ვნება არა მოუციათ-რა. ოთხი ბური დაჭრილია. ბურებმა არტილერია დაუმიზნეს ინგლისელების სიმაგრეებს, შემდეგ თოფის სროლა ასტყდა. ორი მეარტილერიე ბური მოკლულია. რამდენი კაცი დაჰკარგეს ინგლისელებმა, ცნობილი არ არის.

13 აპრილი

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება დღეს ბლუმფონტენიდგან: „გუშინ საღამოს დივიზია, რომელსაც პოლკერი უფროსობდა, დაუზიანებლად მივიდა როდსკოპში. დივიზიას მოძრაობის დროს იცავდა ცხენოსანი ჯარი და არტილერია, რომელთაც დიდის დაზიანებით უკუ აქციეს მტერი. დღეს დილით ცხენოსანი ჯარი ვაალბანკთან გადავიდა მოდდერის მდინარეზედ იმ ჩემის დარიგების თანახმად, რომელიც ფრენჩსა ჰქონდა გარდაცემული, რომ ადგილ სიმაგრე დაეჭირა უკან-დაწეულ მტრის ჯარის გასავლელ გზაზედ ამა გზის შესაკვრელად. როგორც სჩანს, ბურები შეაშფოთა ფრენჩის მოსვლამ, ღამის განმავლობაში დასტოვეს თავისი მაგარი ადგილ სიმაგრე დევეტსკოპთან და ეს ადგილ-სიმაგრე დღეს დილით ჩემსაიდმა დაიჭირა. ცხენზედ აზხედრებულმა ქვეითა ჯარმა, რომელსაც გამილტონი უფროსობს, დაუზიანებლად განაძევა მტრის ჯარი ყველა სიმაღლეებიდგან წყლის მილის ახლო. გაილენდერთა ბრიგადამ გუშინ 24 ინგლისური მილი გამოიარა, რომ გამილტონს მიჰშველებოდა. რადგან ამ ჟამად დევეტსდორპი დაპყრობილია, საფიქრებელი აღარ არის, რომ ვეპენერის ახლო-მახლო დიდი რამ გაჭირვება და დაბრკოლება დაგვხვდეს. — რობერტსივე იუწყება დეპეშით, რომ იმ ბრძოლებში, რომლებიც წინ უძღოდა დევეტსდორპის დაპყრობას, მოგვიკლეს ერთი ოფიცერი და დაგვიჭრეს ერთი ოფიცერი და 22 ჯარის-კაციო.

„რეიტ, სააგ“. დევეტსდორპთან მყოფ ბურების ბანაკიდგან აუწყებენ 8 აპრილს, რომ გენერალმა დევეტმა ხუთშაბათს საღამოს შეიტყო ჯაშუშებისაგან, — ინგლისის რაზმი დევეტსდორპის დასაპყრობად მოდისო. ბურების ჯარი მაშინვე წამოვიდა, რომ დაებრკოლებინათ ინგლისელები, და ბრძოლის ველს მიუახლოვდა. პარასკევს დილით სიმაღლეები, რომელთა დაჭერაც კრონიემ ვერ მოასწრო, ინგლისელებმა დაიჭირეს. ბურები დაბინდებამდე ინგლისელთა ბანაკს ზარბაზნებს ესროდნენ. ღამის განმავლობაში 15 ინგლისელი, რომელთაც გზა დაებნეოდათ, ფეხით მოვიდა ბურების ბანაკში; განთიადისას კიდევ 13 კაცი მოვიდა. მეორე დილით ინგლისელებმა ცხენოსანი რაზმი გაჰგზავნეს ბურების უკანიდგან მოსავლელად. ამის გამო დევეტმა ჯარის უფროსი ვესსელსი გაგზავნა სამის ზარბაზნით მტრის წინააღმდეგ; მტერს-კი ზარბაზნები არა ჰქონდა თანა და ამის გამო იძულებული იყო უკან დაეწია: ზარბაზნების ხანგრძლივ სროლის შემდეგ ინგლისელები უკუ იქცნენ თავისს ბანაკში და ამ დროს იმათი ჯარი ზარბაზნებს საფრებიდგან ისროდნენ, რომ ამითი ბურების ყურადღება დაექსაქსათ. მეტად დაზარალებულ ბანაკში ბურებს მოუკლეს სამი კაცი და 12 დაუჭრეს. ინგლისელთა ზარალი არ იციან, ხოლო როდესაც ისინი უკუ-იქცნენ, ბრძოლის ველზედ დახოცილი მრავლად დასტოვეს.

რობერტსი იუწყება ბლუმფონტენიდგან 12 აპრილს, რომ რიცხვით ოთხი ან ხუთი ათასმა ბურმა ღამე დასტოვეს ვეპენერის ახლო-მახლო ადგილები და დღეს დილით ლედიბრანდის გზით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს დაიწიესო.

ვაჭრობის მინისტრმა რიტჩიმ დღეს კრიდონში წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა: ერთად-ერთი პირობა ზავის დასადებად ის არის, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა სამუდამოდ მოისპოსო. „შეცდომით ჰფიქრობენო, სთქვა მან, ვითომ სპიონსკოპის შესახები დეპეშა რობერტსის თანხმობის წინააღმდეგ ყოფილიყოს გამოქვეყნებულიო. ამ დეპეშის გამოქვეყნება საჭიროდ არა ჰხდის ბულლერის უკან გამოხმობასაო“.

**ვარრენტონი.** ბურები გაძევებულ იქმნენ გუშინ ზარბაზნების და შენის შემწეობით თავიანთის ბანაკიდგან და დიდადაც დაზარალდნენ; ინგლისელებს ზარალი არა მოსვლიათ-რა.

**ლედი სმიტი.** არავითარი მიზეზი არ არის აწინდელის მდგომარეობის შეცვლისა. ბურებს ინგლისელთა ადგილ-სიმაგრეები ორივე მხრივ მიუვალად დახვდათ. ამ ადგილ-სიმაგრეებზედ თავს დაცემა მათის მხრივ საფიქრებელი არ არის. ინგლისელთა მზვერავი რაზმები დადიან ამ მხარეში ყველგან აკტონგომსამდე, მაგრამ ბურების კვალი არსად შეუნიშნავთ.

**პეკინი.** ტიან-ძიანიდგან მოსული დეპეშა მწვალებელთა ესრედ წოდებულ „დიდის მუშტის“ მიერ ჩადენილ მკვლელობის შესახებ: მართლაც თავს დაეცნენ ერთს სოფელს, რომელშიაც რამდენიმე კათოლიკე სცხოვრობს, მაგრამ ისინა უკუ-აქციეს სოფლელებმა და ამ შეტაკების დროს ერთი სოფლელთაგანი დაიჭირა. ჩინეთის ცნობებიდგანა სჩანს, რომ „დიდის მუშტას“ წევრთაგანნი 70 კაცი დაუჭრით და მოუკლავთ. ეს რიცხვი, ეჭვი არ არის, მეტად გაზვიადებულია.

**კოპენჰაგენი.** სეიმის სესსია დღეს დაბოლავდა ორისავე პალატის მიერ სარკინისგზო პროექტის შეწყნარების შემდეგ.

პეტერბურგის ბირჟა, 12 აპრილი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $215^1/_4$ |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97^1/_2$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| $4^1/_2$% იმავე ბანკისა | — „ | 91 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | $98^1/_2$ | — „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 91 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 299 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | 258 | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

21 თებერვალს ქუთაისში შემხვდა ჩემი სოფლის აზნაური ლევარსი მაქსიმეს ძე ბოლქვაძე. ამოიღო ჯიბიდგან „ივერიის“ მე-32 №-რი და მითხრა: „ამ გაზეთში ვინცხამ გამლანძღა და თუ ღმერთი გწამს გამაგებინე, ან შენი თუ არის, ან და პასუხი დამიწერეო“. ძალიან გამიკვირდა ამ წერილში რად უცვნია თავისი თავი აზ. ლევარსი ბოლქვაძეს, სხვა აზნაურები-კი გაჩუმებულან, და როგორც შემეძლო ავუხსენი, რომ ის აქ სახელდობრ არ არის მოხსენებული და პასუხის მიცემაც შეუძლებელია მეთქი, მაგრამ მაინც არ დამიჯერა: „აქანაი მე ვარ გალანძღულიო“ და თანაც მარწმუნებდა, ასეთი არაფერი ჩამიდენიაო. „გაზეთის დაწერის“ ეჭვი დაურჩა მაინც ჩემზედ. დღესაც მიკვირს, რატომ სხვა იქ მცხოვრები რომელიმე აზნაური არ სცნობს ამ წერილს თავისდა შესახებად და რადა ბ-ნ ლევარსი ბოლქვაძეს გამოუდვია თავი. გთხოვთ დამემოწმოთ, რომ მე არ მეკუთვნის ეს წერილი *).

ვარდენ მაქსიმეს ძე ჩხაიძე

*) ვაცხადებთ, რომ ის წერილი ბ-ნ ვ. მ. ჩხაიძეს არ ეკუთვნის. რედ.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 19 აპრილს, შუადღის 12 საათზედ მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემულ იქმნება ქალაქის ქუჩების მოკირწყვლისა და შეკეთების საქმე: 1, 2, 3, ნაწილში, სულ 5000 ოთხ-კ. საჟენი; მე-4, 5 და 6 ნაწილში 2500 ოთხ-კ. საჟ.; მე-7 და 8 ნაწ.—2500 ოთხ-კ. საჟ.; და მე-9 და 10 ნაწ.—5000 ოთხ-კუთხი საჟ.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯოთ პირობანი გამგეობის პირველ განყოფილებაში ყოველ-დღე, 9—3 საათ. (3—6.—2)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კაეს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—91)

დასასრული

**ქართლის ცხოვრებისა**

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 2 აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე